მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 26 ივნისი 2019 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური (შემდგომში - სამსახური), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის, ვახტანგ ლაშქარაძის მიერ,

და

მეორე მხრივ, შპს საქართველოს უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის კონსტანტინე თოფურიას მიერ,

შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც მხარე,

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინამდებარე მემორანდუმით (შემდგომში - მემორანდუმი) ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების სფეროში უახლესი ტექნოლოგიების (მათ შორის, ბლოკჩეინ-სისტემების) იმპლემენტაციისა და რეფორმების მიმართულებით, მხარეთა თანამშრომლობა, რათა ხელი შეეწყოს ახალი მოდელების, ელექტრონული სერვისებისა და ე.წ. სტარტაპების განვითარებას.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საფუძველზე, მხარეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების სფეროში უახლესი ტექნოლოგიების (მათ შორის, ბლოკჩეინ-სისტემების) იმპლემენტაციისა და რეფორმების მიმართულებით. მხარეთა თანამშრომლობა მოიცავს ახალი მოდელების, ელექტრონული სერვისებისა და ე.წ. სტარტაპების განვითარების ხელშეწყობას.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს მხარეები ასრულებენ კეთილსინდისიერების, მხარეთა ურთიერთთანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით. მხარეები ვალდებულნი არიან, მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან და ხელი შეუწყონ ერთმანეთს

(კონსულტაციის გაწევით, საჭირო ინფორმაციის მიწოდებით, ურთიერთდახმარების სხვა ფორმებით და სხვა) მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, მემორანდუმის ფარგლებში, ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვისთვის და ცალკეული გადაწყვეტილებების შესასრულებლად, საჭიროების შემთხვევაში, გამოყონ შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი/თანამშრომლები.

მუხლი 4. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

1. მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა შორის კომუნიკაცია ხორციელდება იურიდიულ მისამართზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის ან/და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

2. სამსახურის ელექტრონული ფოსტის მისამართია: info@rs.ge , ხოლო უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართია: ug@ug.edu.ge

3. შეტყობინება მეორე მხარის მიერ მიღებულად ითვლება წერილობითი შეტყობინების იურიდიულ მისამართზე ჩაბარების, ხოლო შეტყობინების ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის შემთხვევაში - ელექტრონული დოკუმენტის ადრესატის ელექტრონულ ფოსტაზე მისვლის მომენტიდან.

მუხლი 5. მემორანდუმში ცვლილებების და დამატებების შეტანა

მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმებისა და ხელმოწერის მომენტიდან.

მუხლი 6. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

2. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

ბ) ერთ-ერთი მხარის მიერ მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტა, მეორე მხარისათვის 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. სხვა დებულებები

1. საკითხებს, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე მემორანდუმით, მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი ბარდება თითოეულ მხარეს.

მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ შემოსავლების სამსახური	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
მის: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №16 ს.ნ. 204525585 სამსახურის უფროსი ვახტანგ ლაშქარაძე	მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77ა ს.ნ. 205037137 უნივერსიტეტის რექტორი კონსტანტინე თოფურია